საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №98/ნ

2010 წლის 1 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ

□განათლების ხარისხის განვითარების შესახებ□საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის □დ□ქვეპუნქტის, □ზოგადი განათლების შესახებ□საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის □ს□ქვეპუნქტის, □პროფესიული განათლების შესახებ□საქართველოს კანონის მე–15 მუხლის □ვ□ქვეპუნქტის, □უმაღლესი განათლების შესახებ□საქართველოს კანონის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის □პ[2]□ქვეპუნქტისა და 89–ე მუხლის 22–ე პუნქტის, □საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ□საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის □მ□ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი დანართი №1 შესაბამისად.
2. დამტკიცდეს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და ლიცენზირებულუმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების საფასურები დანართი №2–ის შესაბამისად.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №64/ნ – ვებგვერდი, 04.05.2011 წ.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 26 ივლისის ბრძანება №128/ნ – ვებგვერდი, 28.07.2011 წ.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №221/ნ – ვებგვერდი, 30.12.2011 წ.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ივნისის ბრძანება №108/ნ – ვებგვერდი, 07.06.2012წ.
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 27 ივნისის ბრძანება №124/ნ – ვებგვერდი, 28.06.2012წ.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №165/ნ – ვებგვერდი, 29.08.2012წ.
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №240/ნ – ვებგვერდი, 14.11.2012წ.
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №64/ნ – ვებგვერდი, 11.06.2013წ.
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №139/ნ – ვებგვერდი, 18.08.2013წ.

დანართი №1

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი (შემდგომში □წესი) არეგულირებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურების (გარდა ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმებისა), უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარებისა და ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე ლიკვიდირებულან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დასტურებას, განათლების აღიარების (შემდგომში □განათლების აღიარება) პირობებსა და პროცედურას.

2. ლეგალიზაცია ან აპოსტილით დამოწმება ხორციელდება □დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ□საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის ≠406 ბრძანებულებისა და □დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ□საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის ≠404 ბრძანებულების შესაბამისად.

3. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება მოიცავს უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების, პროფესიული განათლების, აკადემიური კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას.

4. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება (შემდგომში □უმაღლესი განათლების აღიარება) გულისხმობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენას სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

5. ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე ლიკვიდირებულან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დასტურებას, განათლების აღიარება გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას.

6. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებისა და განათლების აღიარების ობიექტი არის საგანმანათლებლო დოკუმენტი ან ფაქტი, რომელიც ასახავს/ადასტურებს უმაღლესი, პროფესიული ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლას.

მუხლი 2

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებასა და განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი □განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში □ცენტრი) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართვ

ელოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილუფლებამოსილებებს ცენტრი ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში □სამინისტრო), სამინისტროს ტერიტორიულორგანოებთან □საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან (შემდგომში □საგანმანათლებლო რესუსრცენტრები), საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა უფლებამოსილპირებთან, ხოლო უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში, ასევე საერთაშორისოსაინფორმაციოქსელის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

3. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებისას საქართველოში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა უფლებამოსილი ორგანოები ვალდებულნიარიან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითდადგენილვადებში ცენტრს სრული მოცულობითმიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია.

4. პასუხისმგებლობა წარმოდგენილ ინფორმაციის ნამდვილობაზე ეკისრება განმცხადებელს და ამ ინფორმაციის გამცემ შესაბამის ორგანოს/დაწესებულებას.

5. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებისათვის ცენტრი უფლებამოსილია გამოიყენოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემები, აგრეთვე შესაბამისი მონაცემების შეტანაზე უფლებამოსილსაგანმანათლებლო დაწესესულებას მოსთხოვოს აუცილებელი ინფორმაციის რეესტრში შეტანა.

6. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითგანსაზღვროს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებისა და განათლების აღიარებისათვის აუცილებელი ინფორმაციის და დასტურების ფორმები.

7. ცენტრის დირექტორი, ამ დანართითგათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითშექმნას კომისია, რომელიც წარუდგენს რეკომენდაციას საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებასა და განათლების აღიარებასთან დაკავშირებით.

8. ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის შეიმუშავებს ზოგადრეკომენდაციებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურებისა და განათლების აღიარების საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება #221/ნ – ვებგვერდი, 30.12.2011 წ.

მუხლი 3. განცხადებისა და დოკუმენტების წარდგენა

1. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის და დასტურების ან განათლების აღიარების მიზნით, საგანმანათლებლო დოკუმენტის მფლობელი, ამ პირის მიერსათანადოდუფლებამოსილი ან სხვა დაინტერესებული პირი, ცენტრში წარადგენს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითდამტკიცებული ფორმის შესაბამის ადშევსებულგანცხადებას. განცხადება და თანდართული დოკუმენტები ცენტრს შესაძლებელია წარედგინოს ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით, ქართულან ცენტრის მიერ დადგენილუცხოენაზე.

2. უმაღლესი განათლების სახელმწიფოაღიარების შესახებ განცხადებაში მიეთითება ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, რომელშიც ისწავლა ამ დაწესებულებაში ჩარიცხულმა პირმა და

საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზნებისთვის დაინტერესებული პირი ითხოვს უმაღლესი განათლების აღიარებას.

3. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შესაბამისი საგანმანათლებლო დოკუმენტი ან მისი ასლი, ხოლო ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულშემთხვევაში □ ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დოკუმენტის ასლი ან ცნობა ამ დაწესებულებაში პირის ჩარიცხვის, ასევე ამორიცხვის ან სწავლის დასრულების თაობაზე და სწავლის პერიოდში გავლილ საგნების ნუსხა, მათი კრედიტების ან/და შეფასებების მითითებით;

ბ) განმცხადებელი ფიზიკური პირის შემთხვევაში □ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში □ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (არსებობის შემთხვევაში) ან მითითება საფასურისაგან განთავისუფლების დანართი ≠2–ის გათვალისწინებულსაფუძველზე.

3[1]. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, ცენტრში შეიძლება წარდგენილიქნეს საგანმანათლებლო დოკუმენტი ან მისი ასლი, როგორც აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული, ასევე მის გარეშე.

4. ლტოლვილები და იძულებითგადაადგილებული პირები, ასევე უცხოეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ლიკვიდირებულან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილდაწესებულებაში განათლებამიღებული ის პირები, რომლებიც ვერახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, ამ მუხლის მე–3 პუნქტის □ ა □ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტის ნაცვლად განცხადებას დურთავენ მიღებული განათლების დამადასტურებელმათხელთარსებულყველა დოკუმენტს ან/და მიუთითებენ ამ დოკუმენტებთან დაკავშირებულინფორმაციაზე.

4[1]. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე განცხადება შესაძლებელია შეიცავდეს დაინტერესებული პირის დადასტურებას საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ.

5. (ამოღებულია – 18.09.2013, ≠139/ნ).

6. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადი უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილმოთხოვნებს.

7. საკითხის გადაწყვეტისათვის ცენტრი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი, მათშორის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნებისთვის, პირის საზღვარგარეთცხოვრების დამადასტურებელ დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება ≠64/ნ – ვებგვერდი, 04.05.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 26 ივლისის ბრძანება ≠128/ნ – ვებგვერდი, 28.07.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება ≠221/ნ – ვებგვერდი, 30.12.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება ≠139/ნ – ვებგვერდი, 18.08.2013წ.

მუხლი 4. განცხადების განხილვის წესი

1. განცხადების განხილვა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილვადებში, გარდა ამ ბრძანების დანართი ≠2–ითგათვალისწინებული და ჩქარებული მომსახურების განხორციელებისა.

2. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით, ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პრო

გრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის ფაქტს, პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს, საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლისა და კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

3. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის დროს ცენტრი ამოწმებს საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილებას, საგანმანათლებლო დოკუმენტის სახელმწიფოაღიარებას და ამ დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან, აგრეთვე საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალურ შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დოკუმენტით მინიჭებული კვალიფიკაცია ან გავლილი სწავლის პერიოდი არარის აღიარებული სახელმწიფოს მიერ, ცენტრი ვალდებულია ნამდვილობის შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითოს აღნიშნულის თაობაზე.

4. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ცენტრი ახდენს უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის და დასტურებასა და საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენას.

5. ნამდვილობის და დასტურებისას ცენტრი ადგენს, გაცემულია თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში, და არის თუ არა დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას. ამ მიზნით ცენტრი უკავშირდება შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას.

6. (ამოღებულია – 18.09.2013, ≠139/ნ).

7. შესაბამისობის დადგენისას ცენტრი ადგენს უცხოეთში მიღებულ კვალიფიკაციის, სწავლის პერიოდში მიღწეულ სწავლის შედეგების შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება ≠64/ნ – ვებგვერდი, 04.05.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება ≠139/ნ – ვებგვერდი, 18.08.2013წ.

4[1]. საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის და დასტურების თავისებურებანი

1. საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის და დასტურების მიზნით ცენტრი ადგენს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და აღნიშნული დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2. საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტთან დაკავშირებით განცხადების განხილვისას ცენტრი ამოწმებს საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილებას, დიპლომის ფორმის კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და საგანმანათლებლო დოკუმენტის სახელმწიფოაღიარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება ≠64/ნ – ვებგვერდი, 11.06.2013წ.

მუხლი 5. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თავისებურებანი

1. საქართველოში ან უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის და მადასტურებელი ცნობის საფუძველზე, ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წარდგენილ განცხადებას თან ერთვის ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები (არსებობის შემთხვევაში).

2. იმ პირების განათლების აღიარების მიზნით, რომლებიც ვერ ახერხებენ საქართველოში ან უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლებისდადასტურებას, ცენტრი ატარებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებას და შედეგებს აცნობებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც გაგრძელებ პირმა სწავლ. თუ ამ წარმოების შედეგად ვერ დადასტურდა პირის მიერ საქართველოში ან უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტი, პირი უფლებამოსილია საგნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და ინტერესებული პირის ან ცენტრის მიმართვიდან 10 დღის ვადაში, ცენტრის მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, ადგენს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ან ცენტრის მიმართვაში მითითებული საგნების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან და შეიმუშავებს დასკვნას საქართველოში ან უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში მიეთითება პირის მიერ საქართველოში ან უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილ საგნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები.

4. ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის გათვალისწინებით ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მიღების მომენტში ცენტრში შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემი დაწესებულების მიერ დადასტურებული არარის უცხოქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა, გამოიცემა პირობითი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება ბათილა გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხოქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა.

5. პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობა არიქნა დადგენილ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით.

6. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი ადგენს სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ეროვნულ ი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან, რის შემდეგაც ცენტრი მიმართავს საგანმანათლებლო დაწესებულებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ამ უმაღლესი განათლების დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რასაც თან ერთვის ცენტრში წარდგენილ დოკუმენტაციის ასლები.

6[1]. თუ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების განცხადება შეიცავს დინტერესებული პირის დადასტურებას საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ, გამოიცემა შუალედური გადწყვეტილება, სადაც მიეთითება სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან. აღნიშნული გადწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების საფუძველია. ეს გადწყვეტილება ბათილა გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხოქვეყნის დწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა.

7. ცენტრის მიმართვის საფუძველზე საგანმანათლებლო დწესებულება 10 დღის ვადაში ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

8. აღიარებას ექვემდებარება დწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დგინდეს პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილ და მიმღები დწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებულ სხვაობის მიუხედავად.

10. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არარის გათვალისწინებულ მიმღები დწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით.

11. დწესებულება უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არარის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

12. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულიქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

13. აღიარება ფორმდება დწესებულების უფლებამოსილ ორგანოს დასაბუთებული დასკვნით, რომელშიც მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

14. ამ მუხლის მე–13 პუნქტით განსაზღვრული დასკვნის გათვალისწინებით ცენტრი იღებს გადწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული/უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე. ცენტრი აღიარებს კრედიტების იმ რაოდენობას, რაც გათვალისწინებულია მიმღები საგანმანათლებლო დწესებულების თავსებადი სასწავლო კურსისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე–13 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მიღების მომენტში ცენტრში შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემი დწესებულების მიერ დადასტურებული არარის უცხოქვეყნის დწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა, გამოიცემა პირობითი გადწყვეტილება. ეს გადწყვეტილება ბათილა გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხოქვეყნის დწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა.

15. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დწესებულებასა და სხვა ქვეყნის დწესებულებას შორის გაფორმებულია შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ, საგანმანათლებლო დწესებულება უფლებამოსილია, ცენტრისგან მიიღოს წინასწარი თანხმობა, რაც შემდგომში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავ

ლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების ავტომატურა
აღიარების საფუძველია. ასეთ შეთხვევაში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლ
ებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი გან
ათლება აღიარებულ დითვლება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურები
ს განხორციელების მიუხედავად.

16. ამ მუხლის მე–15 პუნქტით განსაზღვრული წინასწარი თანხმობა ცენტრის
მიერ გაიცემა 2 (ორი) წლის ვადით.

17. ამ მუხლის მე–15 პუნქტით განსაზღვრული წინასწარი თანხმობის მისაღე
ბად საგანმანათლებლო წესებულებამ ცენტრში უნდა წარადგინოს საგანმა
ნათლებლო წესებულებასა და სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო წესებულ
ებას შორის გაფორმებული შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელებ
ის ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ. წარდგენილ შეთანხმება
ში მოცემული განათლების აღიარების წესი უნდა შეესაბამებოდეს უცხოეთში
მიღებული განათლების აღიარების მარეგულირებელ კანონმდებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება ≠64/ნ – ვებგვერდი, 04.05.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება ≠221/ნ – ვებგვერდი, 30.12.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება ≠139/ნ – ვებგვერდი, 18.08.2013 წ.

მუხლი 6. უმაღლესი განათლების აღიარების თავისებურებანი

1. უმაღლესი განათლების აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს საგანმ
ანათლებლო წესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით და დ
გენილი წესით.

2. დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტ
რი შესაბამისი საგანმანათლებლო წესებულებიდან გამოითხოვს პროგრამ
ას, რომლის მიზნებისათვის განმცხადებელს სურს უმაღლესი განათლების აღ
იარება. საგანმანათლებლო წესებულება უფლებამოსილია უმაღლესი განათ
ლების აღიარების თაობაზე გამართულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს
თავისი წარმომადგენელი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
თ და დგენილი წესით.

3. ცენტრი უფლებამოსილია დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ დო
კუმენტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის შედეგად მიზან
შეწონილ დ მიიჩნიოს და შესაბამისი საგანმანათლებლო წესებულების ჩა
რთულობით უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტ
ებში გამოცდის ჩატარება, რომლის მიზანია დადგინდეს, ფლობს თუ არა პირი შ
ესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ კომპონენტით გათვა
ლისწინებულ კომპეტენციას.

4. განათლების აღიარების მსურველის გამოცდის ჩატარების წესი და გამოც
დის თემატიკა, მიმღები საგანმანათლებლო წესებულების პოზიციის გათვა
ლისწინებით, მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრა
ციულ-სამართლებრივი აქტით.

5. დაინტერესებულმხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარება
მდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხო
ვს გამოცდის უფრო მოკლე ვადაში ჩატარებას.

**მუხლი 7. გადაწყვეტილება საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დო
კუმენტების ნამდვილობის ადასტურებასა და განათლების აღიარებ
სთან დაკავშირებით**

1. ამ დანართის მე–3–მე–6 მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინ
ისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცენტრი:

ა) ადასტურებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობას/აღიარებს განათლებას;

ბ) უარს ამბობს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის და დასტურებაზე/უარს ამბობს განათლების აღიარებაზე.

1[1]. თუ უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი, პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების განცხადება შეიცავს დინტერესებული პირის დასტურებას საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ, გამოიცემა პირობითი გადწყვეტილება, სადაც მიეთითება უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობა საქართველოში არსებულკვალიფიკაციებთან. აღნიშნული გადწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილ წესითსწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების საფუძველია. ეს გადწყვეტილება ბათილია გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება უცხოქვეყნის დწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარეობდეს ამ დანართის მე–3–მე–6 მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დასტურებიდან.

3. გადწყვეტილება საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ ძალაშია მხოლოდ მისთვის თანდართულ საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლთან ერთად.

4. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ საგანმანათლებლო დოკუმენტი არარის გაცემული დოკუმენტში მითითებული საგანმანათლებლო დწესებულების მიერ, ან გაცემულია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ წესის დარღვევით, ცენტრი უარს ამბობს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დასტურებაზე/განათლების აღიარებაზე და მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

5. განათლების აღიარების შესახებ გადწყვეტილებით განისაზღვრება განათლების რა ნაწილი იქნა მიჩნეული აღიარებულად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №64/ნ – ვებგვერდი, 04.05.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 26 ივლისის ბრძანება №128/ნ – ვებგვერდი, 28.07.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №221/ნ – ვებგვერდი, 30.12.2011 წ.

დანართი №2

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დასტურების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და ლიცენზირებულუმაღლეს საგანმანათლებლო დწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფოაღიარების საფასურები

მუხლი 1. საფასურის ოდენობები

1. საფასურის ოდენობებია:

ა) საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დასტურებისათვის □25 ლარი, ხოლო 15 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული წარმოებისათვის □50 ლარი;

ბ) საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის ან აპოსტილით დამოწმებისათვის □20 ლარი;

გ) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისათვის – 30 ლარი, ხოლო უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის აღიარებისას 15 სამუშაო დღის განმავლობაში და ჩქარებული წარმოებისათვის – 60 ლარი.

დ) ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარებისათვის 250 ლარი;

ე) საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სხვა ქვეყნის დაწესებულებას შორის გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმებისას წინასწარი თანხმობის მიღებისათვის – 50 ლარი.

2. იმ შემთხვევაში, თუ აღიარებაზე ან ინფორმაციის გაცემაზე უცხოქვეყნის უფლებამოსილი ორგანო ითხოვს შესაბამისი საფასურის გადახდას, ცენტრში წარდგენილი უნდა იქნეს ამ საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №64/ნ – ვებგვერდი, 04.05.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №139/ნ – ვებგვერდი, 18.08.2013 წ.

მუხლი 2. საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი

1. საფასური გადიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით ცენტრის ანგარიშსწორების ანგარიშზე შეტანის გზით.

2. ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი საფასური სრულად დაბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურების შესახებ განცხადების რეგისტრაციამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ვერ იქნა მიღებული გადწყვეტილება ცენტრის მიზეზით.

3. თუ დაინტერესებული პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ მიიღებს მომსახურებას მის მიერ გადახდილი საფასურის შესაბამის ვადაში და სურვილი აქვს, ისარგებლოს სხვა ვადით, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ნაკლებ საფასურს, მაშინ დაინტერესებულპირს უბრუნდება სხვაობა ამ ორსაფასურს შორის. დაინტერესებულპირს უფლება აქვს, უარი თქვას მომსახურებაზე და მოითხოვოს გადახდილი საფასურის სრულად დაბრუნება, თუ შესაბამის ვადაში მომსახურება ვერ იქნა გაწეული ცენტრის მიზეზით.

4. თუ დაინტერესებულპირს უარი ეთქვა ამ ბრძანებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტში არსებული ხარვეზის ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის გამო, ცენტრი ვალდებულია აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს მომსახურება უკვე გადახდილი საფასურის საფუძველზე. მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, საფასურის დაბრუნების თაობაზე განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, გადახდილი საფასური ექვემდებარება სრულად დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურებისათვის წარდგენილი იყო ყალბი დოკუმენტი.

5. თუ მომსახურების გაწევისას ცენტრმა დაუშვა შეცდომა, კერძოდ, დოკუმენტები შედგენილი ან/და გაცემულიქნა არასწორი მონაცემებით, დაინტერესებულპირს ხელახლა გაეწევა მომსახურება დამატებითი საფასურის გადახდის

გარეშე. ასეთ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი უარს განაცხადებს მომსახურების ხელახლა მიღებაზე, მას უბრუნდება გადახდილი საფასური.

6. თუ საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილთა ნხას ა და ამ კანონით დადგენილ განაკვეთს შორის.

7. ამ მუხლით დადგენილ წესით საფასური ბრუნდება დაინტერესებულ პირს წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილ საფასურის ნაწილობრივ ან სრულად ბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილ საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 3. საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება

1. საკუთარი საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების ან განათლების აღიარების მოთხოვნისას ამ დანართით გათვალისწინებულ მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები;

ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები;

გ) ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები და იძულებითგადაადგილებული პირები □ 50%–ით;

დ) მკვეთრად მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები □ 50%–ით;

ე) სტუდენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მფლობელი ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები – 20%–ით.

1[1]. ამ დანართით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან საერთაშორისო საინფორმაციო ქსელის წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული უცხოქვეყნის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დიპლომატიური ურთიერთობებიდან გამომდინარე მომსახურების გაწევისას.

1[2]. ამ დანართით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების რამდენიმე საფუძვლის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში პირი უფლებამოსილია ისარგებლოს მხოლოდ ერთი საფუძვლით.

1[3]. ამ დანართის პირველი მუხლის □ა □ და □გ □ქვეპუნქტებით დადგენილ საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. ამ წესით დადგენილ საფასური არ გადაიხდევინება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით/შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №64/ნ – ვებგვერდი, 04.05.2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ივნისის ბრძანება №108/ნ – ვებგვერდი, 07.06.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 27 ივნისის ბრძანება №124/ნ – ვებგვერდი, 28.06.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №165/ნ – ვებგვერდი, 29.08.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №240/ნ – ვებგვერდი, 14.11.2012წ.